

შპს ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსი

თარიღი:  
15 დეკემბერი, 2011

ლერმონტოვის ქ.18  
0105, თბილისი  
საქართველო  
ტელ: +995 32 2 474747  
ფაქსი: + 995 32 2 470707

## კონკურსი Quarry Life Award – “ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა კარიერებზე”

**ჰაიდელბერგემენტი** აცხადებს საერთაშორისო სამეცნიერო - საგანმანათლებლო კონკურსს **Quarry Life Award** „ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა კარიერებზე“, რომელიც ერთდროულად 17 ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ტარდება. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებსა და მკვლევარებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდის სახით. კონკურსი 2 ეტაპისგან შედგება:

**I ეტაპი - იდეის წარმოდგენა:** კონკურსში მონაწილეობის მსურველები სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილ ვებ გვერდზე [www.quarrylifeaward.ge](http://www.quarrylifeaward.ge) დარეგისტრირდებიან და შეავსებენ პროექტში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის ფორმას. საქართველოში ამ პროექტის ფარგლებში 3 კარიერი განიხილება: კავთისხევის კირქვის კარიერი (შიდა ქართლი), გარდაბანი თიხის კარიერი (ქვემო ქართლი), დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი (კახეთი).

კარიერებზე ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისთვის საპროექტო წინადადების / კონცეფციის წარმოდგენის ბოლო ვადა **2012 წლის 17 თებერვალია**. პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იდეა 2 გვერდს უნდა მოიცავდეს.

**2012 წლის 5 მარტს ეროვნული ჟიური შემოსული იდეებიდან 5 საუკეთესოს გამოავლენს II ეტაპზე გადასასვლელად.**

**II ეტაპი - პროექტის წარმოდგენა:** 2012 წლის 5 მარტიდან 28 სექტემბრამდე 5 შერჩეული კანდიდატი პროექტის დასაწერად იმუშავებს. პროექტის მოსამზადებლად ჰაიდელბერგემენტი მონაწილეებს ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობს 500 ევროს ოდენობით. საპროექტო წინადადება მაქსიმუმ 10 გვერდს უნდა მოიცავდეს. საბოლოო მოხსენებითი ანგარიში შერჩეულმა კანდიდატებმა **28 სექტემბრამდე** უნდა წარადგინონ.

2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამარჯვებულები, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე გამოვლინდებიან. (თითოეულ ქვეყანაში შერჩეული პროექტები პარალელურ რეჟიმში გლობალურ კონკურსზე ბელგიაში განიხილება). ეროვნული ჟიურის მიერ გამოვლენილი საუკეთესო სამეული **1500, 3000 და 5000** ევროთი დაჯილდოვდება, ხოლო გლობალური მასშტაბით შერჩეული 3 გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა **10 000, 20 000 და 30 000** ევროს შეადგენს.

კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შედით საიტზე : [www.quarrylifeaward.ge](http://www.quarrylifeaward.ge); ადათვალიერეთ სოციალურ მედიაში გვერდი [www.facebook.com/quarrylifeawardgeorgia](http://www.facebook.com/quarrylifeawardgeorgia), ან მოგვეწერეთ [quarrylifeaward.GE@heidelbergcement.com](mailto:quarrylifeaward.GE@heidelbergcement.com)

**ჰაიდელბერგემენტი არის სამშენებლო მასალების წარმოების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გლობალურ ბაზარზე და შედის ცემენტისა და ბეტონის წარმოებელთა სამეულში მსოფლიოს მასშტაბით. კომპანიის კუთვნილ 2500 საწარმოში, რომლებიც მსოფლიოს 40 ქვეყანაში არის განთავსებული, 53 000 თანამშრომელია დასაქმებული.**

**დირექტორთა საბჭო**  
გენერალური დირექტორი: მიხაელ ჰამპელი  
ტექნიკური დირექტორი: ვოიჩეკ ჰავატი  
ფინანსური დირექტორი: ევა ტყემელაშვილი  
რეალიზაციის და მარკეტინგის დირექტორი: აკაკი ჩხაიძე  
შესყიდვების დირექტორი: ირაკლი მახარობლიძე  
სამშენებლო მასალების დირექტორი: დავით ჯულაშვილი

**შპს ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსი**  
რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 27 ივნისს.  
იურიდიული მისამართი: მელიქიშვილის ქ. 16  
0179 თბილისი, საქართველო

**საბანკო ანგარიში**  
სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი 220101502  
ა/ა 202 342 700  
საიდენტიფიკაციო კოდი 202394391